



საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური 23 01 03
(მხარჯავი დაწესებულების დასახელება, პროგრამული კოდი)

სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

სახელმწიფო ფინანსების მართვა

პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი
სახელმწიფო ხაზინის განვითარება 230103

პროგრამის განმახორციელებელი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს
სახაზინო სამსახური

პროგრამის კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
230103	სახელმწიფო ფინანსების მართვა	2 425.0	2 621.0	2 609.0	99.5	

➤ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების აღრიცხვა და ანგარიშგება

- მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ვადებში მომზადდა და შესაბამის ადრესატებს მიეწოდა საქართველოს 2014 წლის შესაბამისი თვეების სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშგება.
- საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციით გათვალისწინებული ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის სხვადასხვა მუხლებზე მომზადდა სტატისტიკური და ანალიზური ანგარიშები.
- საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციით გათვალისწინებული შემოსავლების კლასიფიკაციის შესაბამისად შექმნილი ე.წ. „ვებ-რეპორტების“ საშუალებით პერიოდულად გენერირდებოდა და ხდებოდა შემოსავლების დეტალური მონაცემების გაანალიზება - წლების, თვეებისა და დღეების მიხედვით დინამიკაში.
- სახაზინო სამსახურის ვებ-გვერდზე ყოველთვიურად განახლდა სახელმწიფო ბიუჯეტის მონაცემები წლებისა და თვეების მიხედვით, კერძოდ: სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგება, საქართველოს კონსოლიდირებული ბიუჯეტის შემოსულობები, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება. ასევე, მოხდა ვებ-გვერდზე ყოველდღიური ოპერატიული ინფორმაციის განთავსება/განახლება.





- სახაზინო სისტემაში (eTreasury) დაიხვეწა არსებული ანგარიშგებები.

➤ გადახდების ელექტრონული სისტემა

- 2014 წლის 31 იანვარს ცვლილება შევიდა „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1318 ბრძანებაში; კერძოდ, მივლინების ხარჯების შესახებ ანგარიშგების დახვეწის და მოწესრიგების მიზნით ხარჯის ტიპებს დაემატა კიდევ ერთი: „კანონმდებლობით დადგენილ პირებზე მივლინებასთან დაკავშირებული კავშირგაბმულობის ხარჯი;“ ასევე, მივლინების ხარჯის წინასწარი გადახდის შემთხვევაში ორგანიზაცია ვალდებულია შეავსოს ხარჯის თითოეული ტიპის სავარაუდო მოცულობა. დაწესდა კონკრეტული ვადა მივლინებისას წინასწარ გაწეული ხარჯების დამოწმებაზე.
- 2014 წლის მარტში ხაზინის ელექტრონულ სისტემის მიზნობრივი გრანტების მოდულს დაემატა არასახელფასო ხარჯების პაკეტური ანაზღაურების ფუნქცია.
- საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის პროცედურების გამჭვირვალობის გაზრდის და კონტროლის გამკაცრების, ხაზინის სისტემაში ორგანიზაციების ფაქტიური ხარჯების სრული და დროული აღრიცხვის მოწესრიგებით მიზნით ორგანიზაციებს ავანსად გადარიცხული თანხების, ფაქტიურის ხარჯის შესაბამისად, ნაწილობრივ, ეტაპობრივად დამოწმების შესაძლებლობა მიეცათ.
- სახელმწიფო ხაზინის მიერ ყოველდღიურად განსახორციელებელი გადახდების პროგნოზირების მიზნით, ხაზინის ელექტრონულ სისტემას დაემატა ახალი ფუნქციონალი - ინფორმაცია ყოველდღიური ხარჯის შესახებ, რომელიც ივსება განმკარგავი ორგანიზაციის მიერ.

➤ საბანკო ანგარიშსწორების სისტემა

ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 თებერვლის N176 განკარგულების „ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის მექანიზმისთვის სახელმწიფო ფასიანი ქალაქდების გამოშვების, მიმოქცევის, აღრიცხვის, დაფარვის და მიღებული ფულადი სახსრების განთავსების წესის შესახებ“ თანახმად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ საქართველოს სახელით გამოუშვა 2 და 5 წლის დაფარვის ვადის მქონე სახაზინო ობლიგაციები, თითოეული ვადიანობისთვის 2 ემისიად ჩატარებული სახაზინო ობლიგაციების აუქციონების შედეგების მიხედვით სახაზინო სამსახურმა გახსნა სადეპოზიტო ანგარიშები საქართველოში მოქმედ 12 კომერციულ ბანკში. ბანკებთან დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე, სახაზინო ობლიგაციებიდან მიღებული ფულადი სახსრები განთავსდა ვადიანი დეპოზიტის სახით ობლიგაციების მყიდველ კომერციულ ბანკებში, სულ 172 835 149,52 ლარის ოდენობით, ექვს თვეში ერთხელ დარიცხული პროცენტის ხაზინის ერთიან ანგარიშზე ჩარიცხვის პირობით;





- ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების წინა პერიოდის დავალიანებების მოწესრიგების მიზნით, მოხდა მობრუნებების მართვის მოდულში წინა პერიოდის მობრუნებების ფუნქციონალის დამატება მიმდინარე წელს გაწეული ხარჯის მობრუნებების ანალოგიურად;
- ჩარიცხული მიზნობრივი გრანტის თანხების აღრიცხვის მოწესრიგების მიზნით ხაზინის ელექტრონულ სისტემაში განხორციელდა მიზნობრივი გრანტების განსაზღვრის მოდულის ოპტიმიზაცია;
- საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სახაზინო სამსახურის დისტანციული საბანკო მომსახურების დახვეწის მიზნით განხორციელდა უცხოური ვალუტით ოპერაციების დროს გამოყენებული შეტყობინებების ტიპების ცვლილება SWIFT სტანდარტების შესაბამისად.

➤ *საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების (IPSAS) დანერგვა*

- დარიცხვის მეთოდის შესაბამისი IPSAS სტანდარტების დანერგვისა და ზოგადად, საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესების და საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, განხორციელდა IPSAS 2, IPSAS 3, IPSAS 4, IPSAS 6-ის შესწავლა და ანალიზი არსებულ სააღრიცხვო სისტემასთან მიმართებით. ანალიზის პროცესში გამოვლინდა საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებთან შეუსაბამობები. გამოვლენილი შეუსაბამობების აღმოსაფხვრელად, შემუშავდა აღრიცხვისა და ანგარიშგების შესაბამის ნორმატიულ აქტებში ცვლილებების პაკეტი, რომელიც საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საბჭოსთან და საბიუჯეტო ორგანიზაციებთან შეთანხმების შემდგომ, დამტკიცდა ფინანსთა მინისტრის ბრძანებების სახით.
- აღრიცხვის მეთოდოლოგიის და ანალიზის დეპარტამენტის თანამშრომლებიდან შერჩეული ტრენერების მიერ, განხორციელდა საჯარო სექტორის ცალკეული უწყებების ბუღალტრების დატრენინგება IPSAS შესავალ კურსში, რომელიც ითვალისწინებდა მსმენელების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) ძირითადი პრინციპების გაცნობას, ასევე, მოდიფიცირებული საკასო მეთოდის შესაბამისი მეთოდოლოგიის სწავლებას.
- 2014 წლის თებერვალში PEMPAL-ის პროგრამის ფარგლებში ჩატარდა პრაქტიკოს ხაზინადართა საზოგადოების (Treasury Community of Practice (TCoP)) სემინარი თემაზე „საჯარო სექტორის აღრიცხვასა და ანგარიშგებასთან დაკავშირებული პრაქტიკული საკითხები“. სემინარში მონაწილეობა მიიღო PEMPAL-ის პროგრამის წევრი 15 ქვეყნის 50 - მდე წარმომადგენელმა და ექსპერტმა. სემინარის ფარგლებში სტუმრები გაეცნენ საქართველოში საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების, აგრეთვე, ზოგადად, სახელმწიფო ფინანსების მართვის კუთხით განხორციელებულ და მიმდინარე რეფორმებს.

➤ *სახელმწიფო სესხების მართვა*

- საგადასახადო და სასესხო დავალიანებების რესტრუქტურისაციის კომისიისათვის მომზადებული იქნა სულ 26 საკითხი, მათ შორის საგადასახადო დავალიანების რესტრუქტურისაციის - 13, სასესხო დავალიანების რესტრუქტურისაციის - 5, სასესხო





დავალიანების გრაფიკში ცვლილებაზე - 2 საკითხი, ვალდებულებების სრულად შესრულების გამო რესტრუქტურირების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე - 2 საკითხი. საგადასახადო დავალიანების რესტრუქტურირების რეჟიმის ვადამდე შეწყვეტის - 1 საკითხი, სასესხო დავალიანების პატიების - 1 საკითხი. კომისიას განსახილველად წარედგინა ასევე ზოგადი ინფორმაცია ვადაგადაცილებული სასესხო და საგადასახადო დავალიანებების რესტრუქტურირების ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების თაობაზე - 2 საკითხი. შესწავლილი იქნა და არასრული დოკუმენტაციის წარმოდგენის გამო კომისიაზე განსახილველად არ იქნა წარდგენილი - 4 საკითხი.

- კომისიის მიერ დაკმაყოფილდა: საგადასახადო დავალიანების რესტრუქტურირების შესახებ - 12 საკითხი; ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების რესტრუქტურირების შესახებ - 5; რესტრუქტურირებული ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების გრაფიკში ცვლილების შეტანის შესახებ - 2 საკითხი, რესტრუქტურირების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე - 3 საკითხი.
- შემუშავებულ იქნა ინიციატივები და ცვლილებები იქნა შეტანილი „საგადასახადო და სასესხო დავალიანების რესტრუქტურირების შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

➤ **ბიუჯეტის შემოსულობების (გადასახადები) აღრიცხვა და ზედმეტად გადახდილი გადასახადის დაბრუნება**

- 2014 წლის 12 თვის განმავლობაში ზედმეტად გადახდილი გადასახადის დაბრუნების ქვეანგარიშზე მობილიზებულმა თანხამ შეადგინა 323,2 მლნ. ლარი, დაბრუნებული გადასახადების მოცულობამ შეადგინა 241,0 მლნ. ლარი, მათ შორის: დაუბედრავი მიზნიანების ფარგლებში დაბრუნებული საშემოსავლო გადასახადის მოცულობამ შეადგინა 128,3 მლნ. ლარი (სულ დაუბედრავი მიზნიანების ფარგლებში თანხა დაუბრუნდა 464 025 მოქალაქეს), ზედმეტად გადახდილი დამატებითი ღირებულების გადასახადის დაბრუნების მოცულობამ შეადგინა 112,7 მლნ. ლარი.

➤ **საბიუჯეტო ორგანიზაციების სადეპოზიტო კოდებზე დეკონირებული თანხების მართვა**

- შემუშავდა დეპოზიტების მართვის ახალი მოდული, რაც გულისხმობს საბიუჯეტო ორგანიზაციების სადეპოზიტო კოდებზე დეკონირებული თანხების მართვის ელექტრონული დავალებების საშუალებით.

➤ **თვითმმართველი ერთეულების, სსიპ-ებისა და ააიპ-ების ბიუჯეტების ინტეგრირება სახელმწიფო ფინანსების მართვის ერთიან საინფორმაციო სისტემაში**

- სახელმწიფო ფინანსების მართვის საინფორმაციო სისტემაში თვითმმართველი ერთეულების, სსიპ-ებისა და ააიპ-ების ბიუჯეტების ინტეგრირების მიზნით მომზადდა საკანონმდებლო





ცვლილებები, რომლის შემუშავებაშიც აქტიურად იყვნენ ჩართული სახაზინო სამსახურის თანამშრომლები. კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად სახაზინო სამსახურმა მოამზადა ცვლილებების პაკეტი მთელი რიგ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში. კერძოდ, რევიზირებული იქნა „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესი“, „ბიუჯეტების შემოსულობების აღრიცხვის, ანგარიშგებისა და ანგარიშსწორებისა და ზედმეტად გადახდილი თანხების დარბუნების წესი“, „ბიუჯეტების შემოსულობათა სახაზინო კოდების ცნობარი“, „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საბანკო ანგარიშების გახსნის წესი“.

რეფორმის კონცეფციასთან საკანონმდებლო ბაზის შესაბამისობაში მოყვანის პარალელურად, სსიპ „საინფორმაციო ანალიტიკური სამსახურთან“ ერთად, მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა სახელმწიფო ფინანსების მართვის საინფორმაციო სისტემის მოდულების მორგებაზე თვითმმართველობების, სსიპ-ებისა და ააიპ-ების საფინანსო საქმიანობის სპეციფიკასთან. სისტემა შემუშავდა და გაიტესტა. დეკემბრის თვეში სახელმწიფო ფინანსების მართვის საინფორმაციო სისტემაში განხორციელდა სსიპ-ებისა და ააიპ-ების მიერ ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსულობებისათვის ასობით სახაზინო კოდის შექმნა და რეგისტრაცია. კომერციულ ბანკებთან კოორდინაციით დამუშავდა სსიპ-ებისა და ააიპ-ების შემოსულობების საბანკო საბილინგო სისტემით მობილიზების სქემები.

- სისტემის მოდულებთან მუშაობის უნარ-ჩვევების შეძენის მიზნით განხორციელდა თვითმმართველი ერთეულების, სსიპ-ებისა და ააიპ-ების საფინანსო სამსახურების წარმომადგენლების ტრენინგები და საინფორმაციო ხასიათის სამუშაო შეხვედრები, რომლებიც გაგრძელდება 2015 წლის პირველი თვეების განმავლობაშიც. ნოემბერ-დეკემბრის თვეებში ტრენინგები გაიარეს ყველა თვითმმართველი ერთეულის საფინანსო ორგანოს წარმომადგენლებმა. დეკემბრის თვეში გადამზადდა 80-მდე სსიპ-ის თანამშრომელი, ხოლო საინფორმაციო ხასიათის სამუშაო შეხვედრაზე მოწვეული იქნა და პროექტის ღონისძიებებისა და ცვლილებების შესახებ ინფორმაცია მიეწოდა 200 მდე სსიპ-ისა და ააიპ-ის წარმომადგენლებს.

➤ *ადამიანური რესურსების განვითარება*

- სახაზინო სამსახური აქტიურად მუშაობდა შიდა რესურსების განვითარების მიმართულებით. სამსახურის თანამშრომლები მუდმივად იყვნენ ჩართულნი სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში. გარდა ამისა, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაღრმავების მიზნით, სახაზინო სამსახურში სტაჟირება და პრაქტიკა გაიარა სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულებმა და სტუდენტებმა.





- სახაზინო სამსახურში განხორციელებული ფუნქციონალური ცვლილებებიდან გამომდინარე დეკემბრის თვეში შემუშავდა ახალი ორგანიზაციული სტრუქტურა, ცვლილებები განხორციელდა სახაზინო სამსახურისა და მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებებში, ასევე სახაზინო სამსახურის თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებში. მათთან შესაბამისობაში იქნა მოყვანილი სტრუქტურა და საშტატო განრიგი.

➤ *საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა*

- 2014 წელს საჯარო ინფორმაციის მიღების მოთხოვნით სახაზინო სამსახურს მომართა 32 იურიდიულმა და ფიზიკურმა პირმა, მათ შორის 31 განცხადება დაკმაყოფილდა სახაზინო სამსახურის კონპეტენციის ფარგლებში. ადმინისტრაციული საჩივარი საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ სახაზინო სამსახურში არ შემოსულა.
- 2014 წლიდან სახაზინო სამსახურის ელექტრონულ რესურსზე პროაქტიულად ქვეყნდება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილებით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაცია. ვებ გვერდზე განთავსებული მასალა ექვემდებარება დადგენილებით განსაზღვრულ ვადებში სისტემატიურ განახლებას.

